ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

მაისი 2023

საქართველო

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტი (2023 წლის I კვარტალი)

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

მაისი 2023

- 2023 წლის I კვარტალში საქართველოში საჰაერო ტრანსპორტით **1.05 მილიონმა ადამიანმა იმგზავრა**, რაც 3.3%-ით აღემატება პანდემიამდელ (2019 წლის I კვარტალში) მაჩვენებელს.
- **თბილისის აეროპორტის** მგზავრების რაოდენობა პანდემიამდელ მაჩვენებელს ვერ დაუბრუნდა (11%-ით ნაკლები 2019 წლის I კვარტალთან შედარებით), ხოლო **ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში** მგზავრების რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებლებს.
- **2022-2023 წლების ზამთრის სეზონის** განმავლობაში საქართველოს აეროპორტებიდან და რეგულარულ რეისებს 41 ავიაკომპანია ახორციელებდა 61 მიმართულებით. ამ პერიოდში **კვირაში ფრენების საშუალო რაოდენობა** 390 იყო, რაც 6%-ით ნაკლებია 2018-2019 წლების ზამთრის სეზონისთვის დაგეგმილ ყოველკვირეულ რეისებთან შედარებით.
- **2023 წლის ზაფხულის სეზონზე**, წინასწარი განრიგის მიხედვით, ავიაკომპანიების რაოდენობა 43-მდე გაიზრდება, მარშრუტების რაოდენობა კი 88-მდე. **ყოველკვირეული ფრენების საშუალო რაოდენობა** 555-ს მიაღწევს, რაც წინა სეზონთან შედარებით 42.3%-ით მეტია, ხოლო 5.9%-ით ჩამორჩება 2019 წლის ზაფხულის სეზონზე დაგეგმილი ფრენების რაოდენობას.

- 2023 წლის მაისში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2022 წლის მაისთან შედარებით 6.6%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად საოჯახო სასტუმროების ფასების წლიური ზრდით (19.4%) იყო განპირობებული. 2023 წლის აპრილთან შედარებით, სფი გაიზარდა 12.0%-ით. თვიური ფასების ზრდა ყველაზე მაღალი გურიასა (36.7%) და აჭარაში (22.4%) აღმოჩნდა.

მგზავრები საქართველოს აეროპორტებში

- 2023 წლის I კვარტალში **საქართველოში საჰაერო ტრანსპორტით 1.048 მილიონმა ადამიანმა იმგზავრა**, რაც 49.9%-ით მეტია 2022 წლის I კვარტალთან შედარებით და 3.3%-ით მეტი პანდემიამდელ (2019 წლის I კვარტალი) მაჩვენებელთან შედარებით.

საჰაერო ტრანსპორტის მგზავრთა რაოდენობა და მათი აღდგენის მაჩვენებელი 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით



წყარო: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

- საქართველოს **საერთაშორისო აეროპორტებში** მგზავრების რაოდენობა ყველაზე მეტი იყო თბილისში (713,600), რომელსაც მოსდევდა ქუთაისი (253,100) და ბათუმი (77,100). თუმცა, მიუხედავად წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდისა, თბილისის აეროპორტისთვის მგზავრთა რაოდენობა ვერ დაუბრუნდა პანდემიამდელ დონეს (11%-ით ნაკლები 2019 წლის I კვარტალთან შედარებით), ხოლო ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში მგზავრთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ რაოდენობას.

მგზავრები საერთაშორისო აეროპორტებში და მათი რაოდენობის შედარება 2022 წლისა და 2019 წლის I კვარტლებთან (კვ. I 2023)



მგზავრები შიდა აეროპორტებში და მათი რაოდენობის შედარება 2022 წლისა და 2019 წლის I კვარტლებთან (კვ. I 2023)



წყარო: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

- საქართველოს **შიდა აეროპორტებში** მგზავრების რაოდენობამ მთლიანობაში გადააჭარბა პანდემიამდელ (2019 წლის I კვარტალში) მოცულობას, თუმცა ამბროლაურის აეროპორტის მოსარგებლე მგზავრების რაოდენობა 2023 წლის I კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, შემცირდა.

სამგზავრო ფრენები საქართველოს აეროპორტებში

- საქართველოში **სამგზავრო ფრენების რაოდენობის აღდგენის ტემპი** ეტაპობრივი იყო და შეიმჩნეოდა აღდგენის სეზონურობაც. კერძოდ, 2021 წლის III კვარტალში პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ ფრენების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღდგა, რასაც მოჰყვა კლება და შემდგომი აღდგენა 2022 წლის III კვარტალში. 2023 წლის I კვარტალში სამგზავრო ფრენების რაოდენობა თითქმის აღდგა პანდემიამდელ ნიშნულამდე და მიაღწია 4.8 ათას ფრენას, რაც 37.1%-ით მეტია 2022 წლის I კვარტალთან შედარებით.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფრენების განრიგი 2018-2019 და 2022-2023 წლების ზამთრის და 2019 და 2023 წლების ზაფხულის სეზონებისთვის				
	ავიაკომპანია	ქვეყანა	მიმართულება	საშუალო ყოველკვირეული რეისების რაოდენობა
ზამთრის სეზონი 2018-2019[1]	38	32	73	415
ზაფხულის სეზონი 2019[2]	41	37	94	590
ზამთრის სეზონი 2022-2023[3]	41	31	61	390
ზაფხულის სეზონი 2023[4]	43	31	88	555

წყარო: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

- **ზამთრის სეზონის** განმავლობაში (2022 წლის 30 ოქტომბერი – 2023 წლის 25 მარტი), განრიგის მიხედვით, საქართველოს აეროპორტებიდან რეგულარულ რეისებს ახორციელებდა 41 ავიაკომპანია 61 მარშრუტით. ამავე პერიოდში, კვირაში ფრენების საშუალო რაოდენობამ 390 შეადგინა, რაც 6%-ით ნაკლებია 2018-2019 წლების ზამთრის სეზონის განრიგთან შედარებით.

- 2023 წლის **ზაფხულის სეზონში** (26 მარტი – 2023 წლის 28 ოქტომბერი) დაგეგმილია 43 ავიაკომპანიის რეგულარული ფრენები საქართველოს აეროპორტებში, რაც ოდნავ მეტია 2022-2023 წლების ზამთრის სეზონის მაჩვენებელზე. მარშრუტების საერთო რაოდენობა შეადგენს 88-ს, რაც 44.3%-ით მეტია წინა სეზონთან შედარებით, ხოლო 2019 წლის ზაფხულის სეზონის განრიგით განსაზღვრულ მიმართულებებზე 6.4%-ით ნაკლები.

- აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ზაფხულის სეზონზე **ყოველკვირეული რეისების საშუალო რაოდენობა** განრიგის მიხედვით მიაღწევს 555-ს, რაც 42.3%-ით მეტია 2022-2023 წლების ზამთრის სეზონთან შედარებით და 5.9%-ით ნაკლებია 2019 წლის ზაფხულის სეზონში დაგეგმილი ფრენების რაოდენობაზე.

1 სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ფრენების განრიგს აქვეყნებს წელიწადში ორჯერ - ზამთრისა და ზაფხულის სეზონებისთვის. 2018-2019 წლების ზამთრის სეზონის განრიგი იხილეთ აქ.
2 2019 წლის ზაფხულის სეზონის განრიგი იხილეთ აქ.
3 2022-2023 წლების ზამთრის სეზონის განრიგი იხილეთ აქ.
4 2023 წლის ზაფხულის სეზონის განრიგი იხილეთ აქ.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[5] 2023 წლის მაისში, 2023 წლის აპრილთან შედარებით, 12.0%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.4%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.1%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი გურიაში (36.7%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი ქვემო ქართლსა და რაჭაში (0.0%).
- 2023 წლის მაისში, 2022 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 6.6%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.8%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 19.4%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლში (23.7%), ყველაზე დაბალი კი თბილისში (2.8%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 მაი/ 2023 აპრ	2023 მაი/ 2022 მაი	2023 მაი/ 2023 აპრ	2023 მაი/ 2022 მაი	2023 მაი/ 2023 აპრ	2023 მაი/ 2022 მაი
კახეთი	9.6%	5.3%	-1.2%	0.8%	16.4%	7.3%
იმერეთი	3.4%	4.8%	6.1%	1.7%	0.9%	7.8%
გურია	36.7%	23.2%	51.7%	26.7%	0.0%	13.2%
ქვემო ქართლი	0.0%	10.0%	0.0%	10.0%	-	-
აჭარა	22.4%	19.6%	21.3%	10.2%	23.5%	45.7%
რაჭა	0.0%	4.2%	-	-	0.0%	4.2%
შიდა ქართლი	13.5%	23.7%	8.0%	7.8%	17.4%	52.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	13.9%	16.9%	12.8%	22.4%	14.9%	11.2%
სამცხე-ჯავახეთი	8.8%	14.5%	-4.2%	5.7%	17.5%	23.9%
მცხეთა-მთიანეთი	16.2%	20.4%	14.1%	17.2%	18.9%	24.8%
თბილისი	7.4%	-2.8%	5.8%	-3.4%	23.7%	10.3%
სულ ფასების % ცვლილება	**12.0%**	**6.6%**	**9.4%**	**2.8%**	**20.1%**	**19.4%**

5 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[6] **166 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **270 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[7] საშუალო ფასმა **124 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მაისში **409 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 584 ლარი შეადგინა, თბილისში - 515 ლარი, კახეთში - 506 ლარი, ხოლო აჭარაში - 369 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 მაისი, ლარი)



6 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

7 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022	I 2023
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	646.2*	2374.5*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9	1208.5
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9	845.3
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	1244.9	393.7	748.8	1374.7	999.5	3516.6	795.4
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	114.3*	408.6*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	118.1	111.4	106.0	119.3	-247.2	-7.4	10.6*	6.9*	16.1*	-2.0*	31.5*	4.3*

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org